ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 167

"24" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, №1-ში მდებარე 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.05.013.208) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევის №1-ში მდებარე 3,406 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.208) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.746.922 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, №1-ში მდებარე 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.05.013.208) გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურით - 177 000 (ას სამოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფის" (ს/ნ: 400131905) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ-ში მდებარე 1,087 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.189) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე